

ქართული გალობის სკოლები და ტრადიციები

ქართული გალობის რომელი ძირითადი სკოლებისა და ტრადიციების ნიმუშები მოგვეპოვება ჩვენ დღეს? რა წარმომავლობისანი არიან და რა სახელწოდებებს უნდა ატარებდნენ ისინი?

სანამ ამ კითხვებზე პასუხის გაცემას შევეცდებოდეთ, შეგახსენებთ თეზისს, რომლის თანახმად ქართული გალობის ყოველ სკოლას კანონიკური საფუძველი ერთი აქვს, რაც ყველაზე ნათლად სამხმიანი ქართული გალობის პირველ ხმაში – თქმაში (ანუ მთქმელში) არის გამოხატული. სამგალობლო სკოლათა ინდივიდუალობა კი გალობის სამი ხმის ურთიერთდამოკიდებულების კანონზომიერებათა თავისებურებაში გამოიხატება. ეს კანონზომიერებები საუკუნეთა განმავლობაში ყალიბდებოდა და იხვეწებოდა სხვადასხვა მონასტრებსა და ეკლესიებში. „საეკლესიო გალობის დედაბუდე ყოფილა გელათის მონასტერი. აქ ყოფილა უმთავრესი „სასწავლო“ (სკოლა) და აქეთგან ეფინებოდა თურმე გალობა არა თუ მთელს იმერეთის მხარეს, არამედ გადაღმა საქართველოსაც“ (X.X. 1890:6). საფუძველს მოკლებული არ არის ვიფიქროთ, რომ, გელათის მსგავსად, სამგალობლო სკოლები მრავალ სამონასტრო ცენტრში, სასულიერო აკადემიებში, კულტურულ-საგანმანათლებლო კერებში უნდა არსებულიყო და ყოველ მათგანს მისთვის დამახასიათებელი ინდივიდუალობა, თავისებურება გააჩნდა.

ტრადიციულ ქართულ საგალობლებს საზოგადოება დღეს რამდენიმე წყაროდან იცნობს. კერძოდ, ეს არის: ფილიმონ ქორიძის, ძმები კარბელაშვილების, რაჭდენ ხუნდაძის, ექვთიმე კერესელიძის მიერ XIX საუკუნის 80-იან-XX ს-ის, 10-იან წლებში ნოტებზე ჩანერილი უზარმაზარი მასალა. ამას ემატება 1966 წელს შესრულებული ასზე მეტი საგალობლის ფონო ჩანანერი, გადმოცემული არტემ ერქომაიშვილის მიერ.

არტემ ერქომაიშვილის საგალობელთა ჩანანერების მიხედვით, ჩვენს მიერ შედგენილი კრებულის შესავალში, (შულიაშვილი, 2002) გალობის იქ წარმოდგენილ ტრადიციას **შემოქმედის სკოლა** ვუნოდეთ (ამ ტერმინმა, შეიძლება ითქვას, მყარად დამკვიდრება მოასწრო).

ზემოთ ჩამოთვლილი წყაროებიდან მხოლოდ ძმები კარბელაშვილების გალობა, ე. წ. „კარბელაანთ კილო“ წარმოადგენს აღმოსავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიციას, ე. წ. „ქართლ-კახურ გალობას“. გალობის ამ კილოს წარმომავლობაზე საინტერესო ცნობებს გვანვდის პოლიევქტოს კარბელაშვილი ნიგში „ქართული საერო და სასულიერო კილოები“ (კარბელაშვილი, პ., 1898:89), რომლის მიხედვით პოლიევქტოსის პაპა, 1754 წელს დაბადებული პეტრე კარბელა (ხმალაძე), გალობის ხელოვნებას სიყრმეშივე დაუფლებია მეფე ერეკლე II-ის კარზე, სადაც მსახურობდა. შემდგომ იგი სამთავისში მოღვაწეობდა ლოტბარად. პეტრე კარბელას ვაჟიშვილი, გრიგოლი მამისის გამოზრდილი იყო გალობაში. ხოლო თავად გრიგოლმა შვილებს – პოლიევქტოსს და ვასილს გადასცა ეს კილო გალობისა.

აღნიშნული ისტორიული პერიოდის ავბედითობა, თავის მხრივ, ქართლ-

კახეთში გალობის ნაწილობრივ მივიწყების მიზეზიც აღმოჩნდა. ამის მიმანიშნებელია ერეკლე II-ის წერილი გალობის მცოდნე, ამბროსი წილკნელის მიმართ: „ქართლ-კახეთში ცისკრის „ალილო“ აღარავის ახსოვსო, ქალაქს ჩამოდი, დაგვასწავლეო“ (კარბელაშვილი, პ., 1898:73) (როგორც ჩანს, „ცისკრის ალილოდ“ მოიხსენიებოდა ცისკრის საგალობელი „აქებდით სახელსა უფლისასა“). სავარაუდოა, რომ გალობის მცოდნენი იმ დროს ქართლ-კახეთში გაიშვიათებულნი იყვნენ. ამიტომ ერეკლე II-ისა და ანტონ კათოლიკოსის ინიციატივით 1764 წელს გამართული საგანგებო კრების დადგენილებით მღვდელთმთავრებსა და მონასტრების წინამძღვრებს დაევაღათ „მგალობელთა გუნდთა შედგენა ყველა სამღვდელთმთავრო ტაძრებთან, ძველებრ. ამისათვის სვეტიცხოველში დაარსდა დიდი საკათალიკოსო სკოლა, სადაც ყრმანი მოსწავლენი სხვადასხვა საგნებთან ერთად სწავლობდნენ ქართულ გალობასაცა. როგორც ძველად, ამ სკოლაში მოუყარეს თავი დიდ საგვარეულოთა შვილებს, მალე გაიმართა ორ გუნდად გალობა. ამ სკოლიდან მოეფინა სწავლა-მეცნიერება ქართლ-კახეთსა“ (კარბელაშვილი, პ., 1858:69-70). საფიქრებელია, რომ სვეტიცხოვლის სამგალობლო ტრადიციას, რომელმაც აღმოსავლეთ საქართველოში გალობის ამლორძინებლის ფუნქცია შეასრულა, არც კარბელაშვილების წინაპრები აუვლიდნენ გვერდს. ამიტომ, საფუძველსმოკლებული არ იქნება, რომ ე. წ. „კარბელაანთ კილო“ წარმოვიდგინოთ და მოვიხსენიოთ როგორც **სვეტიცხოვლის სამგალობლო სკოლის** დღემდე შემორჩენილი ნიმუში. იხ. დანართი, მაგალითი 1. (კარბელაშვილი, ვ., 1897:67-68)

საგალობელთა ზემოაღნიშნულ მრავალრიცხოვან სანოტო ჩანაწერებში უდიდესი ადგილი ფ. ქორიძის მიერ ჩანწერილ ათასობით საგალობელს უკავია, რომელთა გადმომცემნი, ხშირად განსხვავებული სამგალობლო ტრადიციისა და სხვადასხვა კუთხის ეკლესია-მონასტრებში მოღვაწე მგალობლები გახლდათ. შესაბამისად, ფ. ქორიძის ჩანწერილი საგალობლები გალობის ერთ წყაროდ, ერთი სამგალობლო ტრადიციის ნიმუშად არ უნდა ჩაითვალოს.

ათასობით საგალობელთა ხელნაწერი კრებულების მხოლოდ გარკვეულ ნაწილზე არის მითითებული, თუ ვის მიერ არის ჩანწერილი და ვისგან არის გადმოცემული მასში შემავალი საგალობლები. ნაწილს ასეთი აღნიშვნა არა აქვს. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ე. კერესელიძის ცნობა, რომელშიც მოცემულია გალობის გადმომცემთა სია. მასში დასახელებულნი არიან: ანტონ დუმბაძე, დიმიტრი ჭალაგანიძე, ივლიანე წერეთელი, რაჟდენ ხუნდაძე, მელქისედეკ ნაკაშიძე, ნესტორ კონტრიძე, დავით დუმბაძე, სვიმონ მოლარიშვილი და არისტოვლე ქუთათელაძე (კერესელიძე, Q-665).

როგორც ცნობილია, „გალობის აღმადგინებელი კომიტეტის“ მიერ თავდაპირველად საგალობელთა გადმომცემად არჩეულნი იყვნენ დ. ჭალაგანიძე, ი. წერეთელი და რ. ხუნდაძე. მგალობელთა ამ სამეულს ზედამხედველობას უწევდა შემოქმედელი, საყოველთაოდ აღიარებული მგალობელი ანტონ დუმბაძე, „თვით პაპა გურულის გალობისა, აღმდგენელი და განმამტკიცებელი მისი მთელს გურია-სამეგრელოში“ (ანონიმი ავტორი, 1893:2). შემდგომში ანტონ დუმბაძემ თავადაც ჩაანწერინა ფილიმონ ქორიძეს მრავალრიცხოვანი საგალობელი, რაშიც ანტონის ვაჟი, დავით დუმბაძე და სვიმონ მოლარიშვილი მონაწილეობდნენ.

სანოტო ხელნაწერთა კრებულებში მხოლოდ ერთს აქვს იმის მაუწყებელი აღნიშვნა, რომ მასში შემავალი საგალობლები მ. ნაკაშიძისა და ნ. კონტ-

რიდის მიერ არის გადაცემული (Q-676). ეს კრებული მთლიანად წირვის საგალობლებს შეიცავს.

ქორიძის ხელნაწერებში დ. ჭალაგანიძის, ი. წერეთლისა და რ. ხუნდაძის მიერ გადმოცემულ საგალობლებს მნიშვნელოვნად დიდი ადგილი უკავია. რომელ სამგალობლო ტრადიციას და სკოლას წარმოადგენდნენ ისინი?

დიმიტრი ჭალაგანიძე, თავის დროზე მარტვილში მოღვაწე ცნობილი მაგალობლის, როსტომ ჭალაგანიძის ვაჟი გახლდათ. როსტომს ჭყონდიდელი მიტროპოლიტის, ბესარიონისგან (დადიანი) უსწავლია სრული გალობა და შესაბამისად, მისი ვაჟი, დიმიტრიც გალობის ამავე კილოს ფლობდა.

რ. ხუნდაძის ერთი წერილიდან ვგებულობთ, თუ ვისი სამგალობლო სკოლის აღზრდილია ივლიანე წერეთელი: „ხონის სობოროში იდგა ერთ სენაკში, საუკეთესო ქართული გალობის მცოდნე (სრულად მცოდნე მაგალობელი), სიმონა კუტი (ფირცხალავა) ... იმისგან ნასწავლი დღესაც მრავალია; მაგალითებრ, მღ. ივლ. წერეთელი, ეს ცნობილი მაგალობელი მისი გაზრდილია“ (ხუნდაძე, 1910:13).

საკუთარ სამგალობლო განათლებაზე კი რაჟდენ ხუნდაძე გვამცნობს, რომ „გალობა გურიასი მქონდა ნასწავლი“-ო (ხუნდაძე, 1910:11).

ჭალაგანიძე-წერეთელი-ხუნდაძის ტრიო, როგორც ვხედავთ, სამ სამგალობლო ტრადიციას აერთიანებს.

რაც შეეხება მელქისედეკ ნაკაშიძესა და ნესტორ კონტრიძეს, ცნობილია, რომ გალობა თავიდან მათ ანტონ დუმბაძისგან აქვთ ნასწავლი. შემდგომ ისინი ათონის მთაზე, ივერთა მონასტერში მოღვაწეობდნენ.

შესაძლებელია თუ არა, ერთმანეთისაგან მუსიკალურად განვასხვავოთ სხვადასხვა შემსრულებელთაგან ჩანერილი საგალობლები? კერძოდ:

- 1) ჭალაგანიძე-წერეთელი-ხუნდაძის ტრიოს,
- 2) დუმბაძის,
- 3) ნაკაშიძე-კონტრიძის ჩანაწერები.

ამისათვის მიზანშეწონილი იქნება სხვადასხვა მაგალობელთაგან ჩანერილი ერთი და იგივე ჰანგის მქონე საგალობელთა განხილვა. მაგალითისათვის ავიღოთ „უფალო ღალადგყავსა“ ზედა დასდებელი, მერვე ხმისა (ზემოთ სწორედ ამ საგალობლის კარბელაშვილისეული ვარიანტი წარმოვადგინეთ სვეტიცხოვლის სკოლის ნიმუშად).

ჭალაგანიძე-წერეთელი-ხუნდაძისეულ ვარიანტში ეს საგალობელი ასე ჟღერს: იხ. მაგალითი 2. (Q-672:101)

ამ საგალობლის წარმოდგენილ ვარიანტსა და დუმბაძისეულ ჩანაწერში მთქმელის ხმა (ზედა ხმა) თითქმის მთლიანად საერთოა (I მუხლში სრული იდენტურობა), მაგრამ მოძახილი და ბანი თითოეულ ვარიანტში განსხვავებულ ჰარმონიას ჰქმნის. განსაკუთრებულად თვალშისაცემია დუმბაძის ვარიანტში კვინტონაკორდული თანაჟღერადობების სიმრავლე, რაც შემოქმედის სკოლისთვის მეტად დამახასიათებელია. პირველ-მეორე ხმებს შორის სეკუნდური ინტერვალის მქონე თანაჟღერადობების სიმრავლითაც გამოირჩევა გალობის ეს სკოლა (უნდა აღვნიშნოთ, რომ მსგავსი ფაქტები ანტონ დუმბაძისა და არტემ ერქომაიშვილის გალობას შორის საერთო ფუძის დასტურია). იხ. მაგალითი 3. (H-154^ა:278)

მ. ნაკაშიძისა და ნ. კონტრიძის ჩანაწერებში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მხოლოდ წირვის საგალობლებია მოცემული, რომელთა შორის ექვარის-

ტიის ერთ-ერთი საგალობელი, „წმიდაო, წმიდაო, წმიდაო საბაოთ“ რატომ-ღაც, სწორედ დასდებლის მერვე ხმაზეა ჩანერილი, რითაც შესაძლებლობა გვეძლევა ზემოთ მოტანილ ნიმუშებთან შეფარდებაში უფრო აშკარად გამოვავლინოთ ნაკაშიძე-კონტრადის ჩანანერთათვის დამახასიათებელი თავისებურებები. საგალობლის ამ შესრულებაში ადვილად შეინიშნება ქართული გალობის სხვა წყაროებისათვის ნაკლებად დამახასიათებელი ისეთი თანაჟღერადობები ხმებისა, როგორიცაა: სექსტდეციმაკორდები, კვარტსექსტაკორდები. ამ აკორდთა პარალელური სვლა. ასევე, პარალელური სვლა სექსტოქტაკორდებისა. და ეს რომ შემთხვევითი არ არის, ამაზე მეტყველებს იმავე მაგალობელთაგან ჩანერილი სხვა საგალობელთა ნიმუშებიც. ნაკაშიძე-კონტრადისგან გადმოცემული მასალის სიმცირისდა მიუხედავად, უდავოდ შეიგრძნობა საგალობელში ხმათა შეწყობის თავისებური, ორიგინალური ტრადიცია: იხ. მაგალითი 4 (Q-676:45).

1878 წლის ჟურნალ ივერიაში ვკითხულობთ: „იმერეთში ცხადი გასარჩევია გალობის ძველი და ახალი კილო. უწინდელი პირდაპირი, უფრო განწოლილი და ადგილ-ადგილ სასმენად სასიამოვნო კილო ახლა, უმეტეს ნაწილად ... ხმის თრთოლით არის სავსე. ამ ხმის დაკლავკენას „ვარჯიშს“ ანუ „გამშვენებას“ ეძახიან. ეს გამშვენება, რასაკვირველია, დაფუძნებულია ძველს კილოზედ, რომელიც ყველა მაგალობლისთვის ერთი და იგივეა. ... არიან მაგალობლები, რომელთაც მთელი საგალობელი გალობით იციან, მაგრამ საზოგადოებაში არ გალობენ, რადგან ახალი კილო არ შეუყვარებიათ. მათ შორის საყურადღებოა დ. ხონში მღვ. ვასილ ქუთათელაძე, მაგალობლის ილუმენის ვასილის შვილიშვილი და დეკანოზის, კიდეც საქები მაგალობლის, ანტონის შვილი“ (ივერიელი, 1878:8).

1902 წლიდან ფ. ქორიძე საგალობელთა ნოტებზე გადაღებას იწყებს დიდი სამგალობლო ტრადიციის მქონე ოჯახის წარმომადგენლის – არისტოვლე ქუთათელაძისგან. ფილიმონი წერს: „ჩვენს მოღვაწეს ბ. არისტო ქუთათელაძეს ზედმინევით ცოდნია ზეპირი ძველი საგალობლები. მას უსწავლია ცნობილი მაგალობლის, სიმონ კუტისაგან, ხონში და დამანერიანა 551 ცალი საგალობლები, რომელნიც სავსეა მელოდიური სიტკბოებით“ (ქორიძე, 1905: 587). ძალზე დასანანია, რომ არისტოვლე ქუთათელაძის მიერ გადმოცემული მრავალრიცხოვანი საგალობლის ჩანანერებში, რომელშიც ქართული გალობის ე. წ. „ძველი კილო“ უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი, მხოლოდ ცალი ხმა – მთქმელის პარტიაა მოცემული. საგალობლის მხოლოდ მთქმელის ხმით ჩანერას ე. კერესელიძე ასე ხსნის: „...ცალ ხმაზე მიტომ, რომ უფრო ბევრსა სწერდენ და ჩვენი სურვილიც ის იყო, რომ დაუნერავი არ დაგვრჩენოდა; მოძახილის და ბანის დაწერა შემდეგ დროებშიდაც შესაძლებლად მიგვაჩნდა“ (კერესელიძე, Q-840). სამწუხაროდ, ერთი ნიმუშიც არ მოგვეპოვება ქუთათელაძის მიერ გადმოცემული საგალობლისა სამ ხმაში, რომლის მიხედვითაც ნაწილობრივ მაინც შეგვეძლო აღგვედგინა ის თავისებური კილო, თავისებური სკოლა გალობისა, რომელსაც ხონში მოღვაწე მაგალობლები ქუთათელაძეები, სიმონ კუტი და სხვანი წარმოადგენდნენ. და რომ თავისებური იყო ეს სკოლა, ამაზე გარკვეულწილად არისტოვლე ქუთათელაძის ერთხმიანი ჩანანერებიდანაც შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რადგან თვით მთქმელის ხმაშიც კი (რომელიც დანარჩენ ორ ხმასთან შედარებით სტაბილური და ნაკ-

ლებად(ცვალებადია ყველა სამგალობლო სკოლისათვის), შეიგრძნობა გამღერებისა და კომპოზიციური აგებულების თავისებურება. ამის ნიმუშად მოგვყავს „უფალო ღალადგყავსა“ ზედა დასდებელი, ხმა ვ. იხ. მაგალითი 5 (Q-691:87).

ამ ხმის მქონე საგლობლთა პირველი მუხლის აგებულება სხვა სამგალობლო სკოლათა ნიმუშებშიც ანალოგიურია. რაც შეეხება მეორე მუხლს, ჩვეულებრივ, იგი საგლობლის საწყისი ბგერის სიმალლიდანვე უნდა იწყებოდეს (ამ შემთხვევაში, ბგერა რე). ხოლო ქუთათელაძესთან ეს მუხლი, საგლობლის დამაბოლოებელი მუხლის მსგავსად, ტერციით დაბლა (სი ბგერიდან) იწყება, რისი ანალოგიც მხოლოდ სვეტიცხოვლის სკოლის ნიმუშებში (კარბელაშვილებთან) გვხვდება. ეს ფაქტი შესაძლებელს ხდის ვივარაუდოთ, რომ გალობის იმ ძველ კილოს, რომელსაც ქუთათელაძე ფლობდა მოძახილისა და ბანის შეწყობის თავისებური, შესაძლოა, სვეტიცხოვლის კილოსთან სიახლოვეში მყოფი, ან სრულიად განსხვავებული წესები გააჩნდა. სამწუხაროდ ჩვენთვის ჯერჯერობით დაფარულია მათი არსი.

ხელნაწერთა შემდგომი კვლევით, მოძიებითა და მათი გულდასმით შესწავლით, უდავოდ, შესაძლოა გამოვლინდეს მრავალსახოვანი ქართული სამგალობლო სკოლებისა და ტრადიციების დღეისათვის უცნობი კანონზომიერებები.

დამონმებული ლიტერატურა

- ანონიმი ავტორი. (1893). რედაქციისაგან. გაზეთი *ივერია*, 90.
- ივერიელი, ლ. (1878). ქართულს გალობაზე. *ჟურნალი ივერია*, 17.
- კარბელაშვილი, ვასილ (შემდგენელი). (1897). ქართლ-კახური გალობა. „კარბელაანთ კილოთი“. მწუხრი. ტფილისი: სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.
- კარბელაშვილი, პოლიევქტოს. (1898). ქართული საერო და სასულიერო კილოები. ტფილისი: სტამბა ექ. ივ. ხელაძისა.
- კერესელიძე, ექვთიმე. *ისტორია ქართული საეკლესიო გალობის ნოტებზე გადაღებისა*. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. ხელნაწერი Q-840.
- კერესელიძე, ექვთიმე. *საგალობლთა სარჩევი*. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი. ხელნაწერი Q-665.
- ქორიძე, ფილიმონ. (1905). ქართული მუსიკა. გაზეთი *მოგზაური*, 37.
- შულღიაშვილი, დავით. (შემდგენელი), (2002). *ქართული საეკლესიო გალობა. შემოქმედის სკოლა*. არტემ ერქომაიშვილის ჩანაწერების მიხედვით. თბილისი: საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი.
- ხუნდაძე, რაჟდენ. (1910). ქართული გალობა. *ჟურნალი შინაური საქმეები*, 16.
- X.X. (1890). ფილიმონ ქორიძისა და საეკლესიო გალობის შესახებ. *ჟურნალი მწყემსი*, 22.

მაგალითი 1. კარბელაშვილი, ვასილ (შემდგენელი). (1897). *ქართლ-კახური ვალობა*. „კარბელაანთ კილოთი“. მწიგნობ. ტფილისი: სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

EXAMPLE 1. Karbelashvili, Vasil (Compiler and Ed.) (1897). *Kartli-kakhetian Church-Singing. On Karbelashvili ("Karbelaant") Mode*. Dusk.Tbilisi: M.Sharadze & Friends Press. (In Georgian)

შუგ-ბა-სა ვა-ლი-ა-სა და-სა-რევი-კა-სა მხივარ-აღსა-
რთა-რ-ა-სა-სა-სა-სა და-სა-რევი-კა-სა მხივარ-აღსა-

სა-სა მხივარ-აღსა-სა შუგ-ბა-სა ვა-ლი-ა-სა და-სა-რევი-კა-სა
shu-ba-sa va-li-a-sa da-sa-revi-ka-sa m-khivar-agsa-
sa-sa m-khivar-agsa-shu-ba-sa va-li-a-sa da-sa-revi-ka-sa

სა-სა მხივარ-აღსა-სა შუგ-ბა-სა ვა-ლი-ა-სა და-სა-რევი-კა-სა
sa-sa m-khivar-agsa-shu-ba-sa va-li-a-sa da-sa-revi-ka-sa

სა-სა მხივარ-აღსა-სა შუგ-ბა-სა ვა-ლი-ა-სა და-სა-რევი-კა-სა
sa-sa m-khivar-agsa-shu-ba-sa va-li-a-sa da-sa-revi-ka-sa

სა-სა მხივარ-აღსა-სა შუგ-ბა-სა ვა-ლი-ა-სა და-სა-რევი-კა-სა
sa-sa m-khivar-agsa-shu-ba-sa va-li-a-sa da-sa-revi-ka-sa

მაზალითი 2. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ხელნაწერი Q-672, გვ.101.

EXAMPLE 2. Fund of the Korneli Kekelidze Institute of Manuscripts of the Academy of Science of Georgia, Manuscript Q 672, pg. 101

მწეს-რი-სა გა-ღი-სა-სა და-სი-ცეცა-ერ-სა მსხვერ-პლესა
შენ-და-ქრის-ტა-შეც-ვი-რატა

mstsa-x-ri - sa ga - lo - ba - sa da si - ceca - er - sa mxhver - plesa
shen-da kris - ta shevs-vi - rat

ია მე თუ სთა წა ი წა გე შე წა აჯა ია წვი ნა
in me tu nat no i shi ne she tska le ba chve ni

in me tu nat no i shi ne she tska le ba chve ni

აღ დგა მი თა შე ია
agh dga mi ta she ni ta

agh dga mi ta she ni ta

მაგალითი 3. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ხელნაწერი H-154⁵, გვ. 278.

EXAMPLE 3. Fund of the Korneli Kekelidze Institute of Manuscripts of the Academy of Science of Georgia, Manuscript H154⁵, pg. 278.

The musical score consists of three systems, each with a vocal line (treble clef) and a piano accompaniment (bass clef). The lyrics are in Georgian and are transcribed in Latin script below the notes.

System 1:

მწუხ რა ხა გა ყვი ბა ხა და ხა უვეი კრ ხა მსხვერ ძვსა
 mtsux - ra - xa - ga - yvi - ba - xa da - xa - uvei - kr - xa - mskhver - dsvsa

System 2:

შენ და ქრის რე შევს ჯა რეპო რე მე თუ სათ ნო
 shen - da - kris - re - shevs - ja - re - po - re - me - tu - sa - th - no

System 3:

„ ნი რე შე ჯეა რე ბა რეც ნა აღ დგოა მი
 „ - ni - re - she - ja - re - ba - re - ts - na - agh - dgo - a - mi

System 4:

თა შე ნო რა
 ta - she - no - ra

Ge კურთხე უფა არს მცხა და ჯდო სა ხე ჯდო და შუი ჯდო სა და
 na kur-khe - ul ara mo - ma - va - li da-khe - li - io up - li - sa - na

ო სა და მცხა და ჯდო და შუი
 o - sa - na ma - kha - li - io shi -

და
 na

